1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 19 (252) 10 ივლისი 1964 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი


339. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირ-სომალის 1961 წლის 2 ივნისის შეთანხმების ზოგიერთი მუხლის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე სსრ კავშირის და სომალის რესპუბლიკას შორის დადებული ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

340. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზახეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

341. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თურქმენეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

342. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ვ. სნეგირევის კამერუნის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.


#### განყოფილება მეორე


343. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ს. რ. მარდაშოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

344. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევო ლაბორატორიის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

345. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნავთობის მრეწველობისა და სახანძრო დაცვის იმ მუშაკთა ჯგუფის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ნავთობისა და გაზის საბადოებზე ღია შადრევნებისა და ხანძრის ლიკვიდაციის დროს.

346. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის კომპოზიტორ ბ. დ. დვარიონასის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

347. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლით ნორვეგიელ მოქალაქეთა დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

348. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ფატეხ ნიაზის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

349. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

350. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის შესახებ, რომ პოლონეთის ჯარების ოფიცერი ი. მ. სობესიაკი დაჯილდოვდეს I ხარისხის მედლით „სამამულო ომის პარტიზანს“.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

# ᲜᲐᲬᲘᲚᲘ II

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

351. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მახარაძის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

352. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

353. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად პ. ა. როდიონოვის არჩევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**339** **ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირ-სომალის 1961 წლის 2 ივნისის შეთანხმების ზოგიერთი მუხლის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე სსრ კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის დადებული ოქმის რატიფიკაციის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და სომალის რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული ოქმი ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირ-სომალის 1961 წლის 2 ივნისის შეთანხმების ზოგიერთი მუხლის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ, ხელმოწერილი მოგადიშოში 1963 წლის 11 ნოემბერს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 26 ივნისი.

№ 2641-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**340** **ყაზახეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ**

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაითვალოს ძალადაკარგულად ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1964 წლის 1 ივლისიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 ივნისი.
№ 2647-VI.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 ივნისის ბრძანებულებისა „ყაზახეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.
№ 2647-VI.

## ნ უ ს ხ ა

### სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 341 თურქმენეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1964 წლის 1 ივლისიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 ივნისი.

№ 2648-VI.

ბიბლიოთეკა

დანართი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 ივნისის ბრძანებულებისა „თურქმენეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.
№ 2648-VI.

## ნ უ ს ხ ა

### სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 342 ვ. ვ. სნეგირევის კამერუნის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვლადიმერ ვსევოლოდის ძე **სნეგირევი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კამერუნის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 ივლისი.
№ 2667-VI.

# განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 343 პროფესორ ს. რ. მარდაშოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის პროფესორ სერგი რუფის ძე **მარდაშოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 ივნისი.
№ 2637-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 344 სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლეო ლაბორატორიის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

მედიცინაში ახალი საკვლეო მეთოდების შესაქმნელ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის **დაჯილდოვდნენ:**

**ლენინის ორდენით**

ალექსანდრე სერგის ძე **პავლოვი** — ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შრომის წითელი დროშის ორდენით

1. სერგი სერგის ძე **დებოვი** — ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.
2. იური მიხეილის ძე **ლოპუხინი** — განყოფილების ხელმძღვანელი.
3. ბორის ნიკოლოზის ძე **უსკოვი** — ლაბორატორიის დირექტორი.

### „საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. მიხეილ არკადის ძე **ბარონი** — განყოფილების ხელმძღვანელი.
2. ივანე სერგის ძე **კუზნეცოვი** — განყოფილების ხელმძღვანელი.
3. იგორ ნიკოლოზის ძე **მიხაილოვი** — ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
4. იური ალექსის ძე **რომაკოვი** — განყოფილების ხელმძღვანელი.
5. ბორის იზოტის ძე **ხომუტოვი** — განყოფილების ხელმძღვანელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 ივნისი.
№ 2638-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 345 ნავთობის მრეწველობისა და სახანძრო დაცვის იმ მუშაკთა ჯგუფის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ნავთობისა და გაზის საბადოებზე ღია შადრევნებისა და ხანძრის ლიკვიდაციის დროს

ნავთობისა და გაზის საბადოებზე ღია შადრევნებისა და ხანძრის ლიკვიდაციაში დამსახურებისათვის **დაჯილდოვდნენ:**

### ლენინის ორდენით

1. გრაზდან მუშეღის ძე **მამიკონიანცი** — ინჟინერ-პოლკოვნიკი, რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო.
2. კორიუნ ხაჩატურის ძე **მხჩიანი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „ორჯონიკიძენეფტის“ გაზსაკომპრესორო საამქროს უფროსი.
3. კონსტანტინე ვლადიმერის ძე **ტკაჩენკო** — აზერბაიჯანის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შრომის წითელი დროშის ორდენით

1. თორნიკე გრიგოლის ძე **ვოსკანოვი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „ყარადაღნეფტის“ საბურღი უბნის უფროსი.

2. ალექსი ივანეს ძე **გორშენინი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „ყარადაღნეფტის“ სამშენებლო-სამონტაჟო საამქროს სამუშაოთა მწარმოებელი.

3. ალი ჰასან ოღლი **ისრაფილოვი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „ყარადაღნეფტის“ სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსი.

4. პეტრე ნესტორის ძე **პროკოფიევი** — გაერთიანება „აზნეფტის“ 26 ბაქოელი კომისრის სახელობის ნავთობსარეწი სამმართველოს № 7 სარეწის ყოფილი უფროსი მექანიკოსი.

## „საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. ჰაჯი ალიბეკ ოღლი **ალიბეკოვი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „პესჩანინეფტის“ № 1 სარეწის ჭაბურღილის გამოცდის ოსტატი.

2. პავლე თევდორეს ძე **ანანიევი** — გაერთიანება „თურქმენნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „ჩელეკენნეფტის“ ბურღვის კონტორის კოშკურების სამონტაჟო საამქროს უფროსი.

3. ალექსი ვასილის ძე **გუსევი** — გაერთიანება „ბაშნეფტხიმზავოდის“ სახანძრო დაცვის ინსპექტორი.

4. ვასილ პეტრეს ძე **კარნაევი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „ყარადაღნეფტის“ № 2 სარეწის უფროსი მექანიკოსი.

5. ეგორ ნესტორის ძე **მაქსიმოვი** — გაერთიანება „აზნეფტის“ 26 ბაქოელი კომისრის სახელობის ნავთობსარეწი სამმართველოს № 1 სარეწის ყოფილი უფროსი მექანიკოსი.

6. მიხეილ ვასილის ძე **ჩაპლიგინი** — გაერთიანება „გროზნეფტის“ ტრესტ „გროზნეფტერაზვედკას“ ბურღვის ოსტატი.

## მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. ამირ ალი გიულ ოღლი **აბდინოვი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „პესჩანინეფტის“ სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალი.

2. პეტრე ვასილის ძე **დერგაჩოვი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „პესჩანინეფტის“ № 1 სარეწის ნავთობისა და გაზის მოპოვების ოპერატორი.

3. საბიტ **კარიმოვი** — უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულის დაცვის მთავარი სამმართველოს ტრესტ „ბუხარანეფტეგაზრაზვედკას“ ბურღვის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ვლადიმერ პეტრეს ძე **კატასონოვი** — გაერთიანება „სარატოვნეფტეგაზის“ ზავოლჟსკის გეოლოგიურ-საძიებო ტრესტის საბურღავი კონტორის მთავარი მექანიკოსი.

5. ივანე ეფრემის ძე **მოსკალენკო** — გაერთიანება „გროზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „მალგობეკნეფტის“ № 1 საბურღი კონტორის ზეინკალი.

6. ალექსანდრე პროკოფის ძე **სლობნოვი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „პესჩანინეფტის“ № 1 სარეწის ნავთობის და გაზის მოპოვების ოპერატორი.

7. ივანე მაკარის ძე **იალოვოი** — გაერთიანება „თურქმენნეფტის“ ნავთობსარეწი „ჩელეკენნეფტის“ სარემონტო-სამონტაჟო საამქროს მექანიკოსი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. კონსტანტინე გურიანის ძე **დარვინი** — გაერთიანება „აზნეფტის“ სარეწაო სამმართველოს „ორჯონიკიძენეფტის“ სარემონტო-სამონტაჟო საამქროს ოსტატი.

2. მახმუდ **ისაევი** — უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულის დაცვის მთავარი სამმართველოს ტრესტ „ბუხარანეფტეგაზრაზვედკას“ ბურღვის ოსტატი.

3. იური ანდრიას ძე **კალინოვი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „პესჩანინეფტის“ № 1 სარეწის ნავთობისა და გაზის მოპოვების ოპერატორი.

4. ლაზარე გრიგოლის ძე **ლაზარევი** — უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულის დაცვის მთავარი სამმართველოს ტრესტ „ბუხარანეფტეგაზრაზვედკას“ ნავთობსაძიებო ექსპედიციის მთავარი ინჟინერი.

5. აბდულა ბაგი ნადირ ოღლი **სულთანოვი** — გაერთიანება „აზნეფტის“ ნავთობსარეწი სამმართველოს „ორჯონიკიძენეფტის“ № 5 სარეწის უფროსი მექანიკოსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 ივნისი.

№ 2639-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 346 სსრ კავშირის სახალხო არტისტის კომპოზიტორ ბ. დ. ღვარიონასის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი კომპოზიტორი ბალის დომინიკეს ძე ღვარიონასი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 27 ივნისი.

№ 2645-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 347 სსრ კავშირის ორდენებითა და მედლით ნორვეგიელ მოქალაქეთა დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის და იმის გამო, რომ დახმარება გაუწიეს მათ, დაჯილდოვდნენ ნორვეგიელი მოქალაქენი:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. რაგნარ **გიულბრანდსენი.**
2. ინგრიდ **გიულბრანდსენი.**
3. იალმარ **მადსენი** (სიკვდილშემდგომ).
4. სუფუს **ნევერლიუნდი.**
5. ბიარნე **ხალვორსენი.**

მედლით „მამაცობისათვის“

რუალდ **პედერსენი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 ივნისი.

№ 2652-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 348 მწერალ ფატეჰ ნიაზის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ფატეჰ **ნიაზი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 ივლისი.
№ 2664-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 349 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. შუშანა ვასილის ასულ **ბაბაევას** — დიასახლისს, გარდაბნის რაიონის დაბა გარდაბანი.
2. შუშანიკ არესტაკის ასულ **ბაგრატუნიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი კარწახი.
3. ულფეტ ეზიზის ასულ **დუმბაძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელი ჭარნალი.
4. გოგოლი ფარნას ასულ **ყალიჩავას** — მოსამსახურეს, ცხაკაიას რაიონის სოფელი ხაბუმე.
5. ემინე ჰასანის ასულ **კუკოლაძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელი ჩიქუნეთი.
6. მატა იოსების ასულ **მექოშვილს** — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ახალციხის რაიონი.
7. ელენე ბესარიონის ასულ **ნემსაძეს** — მუშას, ახალციხის რაიონის სოფელი ოთა.
8. ვართანუშ სისაკის ასულ **პოდოსიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი პატარა ხანჩალი.
9. რაბიე შუქრის ასულ **ტარიელაძეს** — დიასახლისს, ქალაქი ბათუმი.
10. აბდულ სოიუნ ყზი **ტაუზს** — დიასახლისს, გარდაბნის რაიონის სოფელი **სოღანლუღი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ციცინო ისიდორეს ასულ **ცხადაიას** — დიასახლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელი შამგონა.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 ივლისი.
№ 2670-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 350 იმის შესახებ, რომ პოლონეთის ჯარების ოფიცერი ი. მ. სობესიაკი დაჯილდოვდეს I ხარისხის მედლით „სამამულო ომის პარტიზანს“

დიდი სამამულო ომის პერიოდში პარტიზანულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის პოლონეთის ჯარების ოფიცერი იუზეფ მათეს ძე **სობესიაკი** დაჯილდოვდეს I ხარისხის მედლით **„სამამულო ომის პარტიზანს“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 3 ივლისი.
№ 2674-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ლიტვის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კედაინიაის ქიმიურ კომბინატში გოგირდის მჟავისა და მინერალური სასუქების წარმოების სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 40 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან ლიტვის სსრ მშენებლობის სამინისტროს ტექნოლოგიური მოწყობილობისა და ლითონკონსტრუქციების სამონტაჟო ტრესტის № 72 სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟე ი. ი. მეშკუსი და ლიტვის სსრ მშენებლობის სამინისტროს კედაინიაის სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი ე. ლ. შკელიოვასი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 7 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 10, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 10 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 11 კაცი.

**ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

### რ ს ფ ს რ

**დასახლებული პუნქტების მუშათა ახალშენის კატეგორიისათვის მიკუთვნება**

ამურის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის 1964 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით ოქტიაბრსკის სასოფლო რაიონის სოფელი ეკატერინოსლავკა განეკუთვნა მუშათა ახალშენის კატეგორიას.

* * *

ნოვოსიბირსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სასოფლო) საბჭოს აღმასკომის 1964 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით კოლივანის სასოფლო რაიონის სოფელი კოლივანი განეკუთვნა მუშათა ახალშენის კატეგორიას.

* * *

პერმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სასოფლო) საბჭოს აღმასკომის 1964 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ილინსკოეს სასოფლო რაიონის სოფელი ილინსკოე განეკუთვნა მუშათა ახალშენის კატეგორიას და მიენიჭა სახელი — მუშათა ახალშენი **ილინსკი**.

* * *

კემეროვოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამრეწველო) საბჭოს აღმასკომის 1964 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ბერიოზოვსკის სამრეწველო რაიონის ახალშენი ოქტიაბრსკი განეკუთვნა მუშათა ახალშენის კატეგორიას.

* * *

ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 27 აპრილის ბრძანებულებით ილიშევსკის სასოფლო რაიონის სოფელი დიურტიული განეკუთვნა მუშათა ახალშენის კატეგორიას.

* * *

მორდოვეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით იჩალკოვსკის სასოფლო რაიონის სოფელი კემლია განეკუთვნა მუშათა ახალშენის კატეგორიას.

**დაბა სოლნეჩნის გადარქმევა**

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 5 ივნისის ბრძანებულებით ხაბაროვსკის მხარის მუშათა ახალშენ სოლნეჩნის დაერქვა მუშათა ახალშენი **გორნი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ზოგიერთი ქალაქის ადმინისტრაციული დაქვემდებარების შეცვლა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 12 ივნისის ბრძანებულებებით მოხდა შემდეგი ცვლილებანი ზოგიერთი ქალაქის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში:

ა) ნიჟნი-ლომოვის სამრეწველო რაიონის ქალაქი ბედნოდემიანოვსკი გადაეცა პენზის ოლქის ბედნოდემიანოვსკის სასოფლო რაიონს;

ბ) ქალაქები ბუტურლინოვკა და პავლოვსკი, რომლებიც კალაჩის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ექვემდებარებოდნენ, შესაბამისად გადაეცნენ ვორონეჟის ოლქის ბუტურლინოვკას და პავლოვსკის სასოფლო რაიონებს;

გ) ქალაქი ზაპადნაია დვინა, რომელიც ექვემდებარებოდა ტოროპეცის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, გადაეცა კალინინის ოლქის ზაპადნაია დვინას სასოფლო რაიონს;

დ) ქალაქი კალიაზინი, რომელიც ექვემდებარებოდა კიმრის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, გადაეცა კალინინის ოლქის კალიაზინის სასოფლო რაიონს;

ე) ქალაქი ლიხოსლავლი, რომელიც ექვემდებარებოდა ტორჟოკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, გადაეცა კალინინის ოლქის ლიხოსლავლის სასოფლო რაიონს;

ვ) ქალაქი სოლ-ილეცკი, რომელიც ექვემდებარებოდა ორენბურგის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, გადაეცა ორენბურგის ოლქის სოლ-ილეცკის სასოფლო რაიონს.

## უკრაინის სსრ

### ქალაქ ალუშტის საოლქო დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისათვის მიკუთვნება და ალუშტის რაიონის გაუქმება

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 10 ივნისის ბრძანებულებით ყირიმის ოლქის ქალაქი ალუშტა განეკუთვნა საოლქო დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას.

ალუშტის რაიონი გაუქმებულია.

## ბელორუსიის სსრ

### ტორფის საწარმო „ბელორუსიის სსრ 40 წლის“ ახალშენის მუშათა ახალშენის კატეგორიისათვის მიკუთვნება

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 12 ივნისის ბრძანებულებით გროდნოს ოლქის ლიდის რაიონის ტორფის საწარმოს „ბელორუსიის სსრ 40 წლის“ ახალშენი განეკუთვნა მუშათა ახალშენის კატეგორიას, მიენიჭა სახელი **პერვომაისკი** და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ლიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყირგიზეთის სსრ

### სასოფლო რაიონების შექმნა

ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 22 ივნისის ბრძანებულებით შექმნილია:

**კიროვსკოეს** რაიონი ცენტრით სოფელ **კიროვსკოეში;**

**სოკულუკის** რაიონი ცენტრით სოფელ **სოკულუკში.**

## სომხეთის სსრ

### სასოფლო რაიონის შექმნა

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 15 ივნისის ბრძანებულებით შეიქმნა **ვედის** სასოფლო რაიონი ცენტრით დაბა **ვედში.**

## ნაწილი II

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**351 მახარაძის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

თბილისში 1964 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **მახარაძის სახელმწიფო თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 29 ივნისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**352 სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

თბილისში 1964 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 3 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 353 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

თბილისში სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა**

ელენე ნიკოლოზის ასულ **გოგოლევას** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის მსახიობს.

**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა**

ლეონიდე ვიქტორის ძე **ვარპახოვსკის** — სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის რეჟისორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 3 ივლისი.

## განყოფილება მესამე

## ც ნ ო ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად პ. ა. როდიონოვის არჩევის შესახებ

1964 წლის 5 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქ. ტყიბულის ლენინის № 249 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ქ. ტყიბულის ლენინის № 249 საარჩევნო ოლქისაგან არჩეულია პეტრე ალექსანდრეს ძე **როდიონოვი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.